სამშობლო

ხუთშაბათი
3 მარტი
წელიწადი II.

ფასი: წლიურად 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დაბა-ტიხით 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე [illegible] განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 300 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 300

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის
ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო“-ზე

ქ. ქუთაისი. წელიწადი მეორე. ქ. ქუთაისი.

გაზეთი გამოვა

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურად გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურად 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.** გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო“**

✝

ხუთშაბათს, 3 მარტს, დილის 9 საათზე, რომის კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

პავლე სტეფანეს ძის ფეიქაროვის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ დამწუხრებულნი მშობლები სტეფანე პავლეს ძე და მარიამ ზაქარიას ასული ფეიქაროვები შვილებითურთ.

71 2—2

---

1 მარტს ქ. ქუთაისში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

თავადი ექვთიმე დავითის ძე ლორთქიფანიძე

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მეუღლე მისი ატატო ლორთქიფანიძისა, შვილი დავით ლორთქიფანიძე, ძმისწულები ვლადიმერ და აბესალომ ლორთქიფანიძეები და ცოლის და ბარბალე (იგივე ვარდისინე) მაჭარიაშვილის ასული.

ცხედარს გამოასვენებენ (ლექვინაძის შესახვევის ლუკა ლექვინაძის სახლიდან) ხუთშაბათს 3 მარტს, ნაშუადღევის 3½ საათზე და წაასვენებენ სოფ. ჯიმასტაროს, სადაც დაკრძალავენ კვირას 6 მარტს ნაშუადღევს 4 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. 2—2

ქვრივი აგრაფინა ნიკოს ასული კიკაბიძისა, დათიკო და კოტიკო ნიკოს ძენი კიკაბიძეები, ნინო ალექსის ასული მიქაძისა, ნესტორ, კოწია, სოფიკო და კესარია გიორგის ძენი და ასულნი კიკაბიძეები და მაკრინე გიორგის ასული გუგუშვილისა; ოლღა სამსონის ასული კიკაბიძისა, ივანე სიმონის ძე გუგუშვილი, ბენედიქტე, ვანო და პიპიკო ლავრენტის ძენი ლორთქიფანიძეები, ალექსი და სპირიდონ ოტიას ძენი კიკაბიძეები გულითადი მწუხარებით გაუწყებენ გარდაცვალებას პირველი მეუღლისა, მეორენი ძვირფასი მამისა, მესამე საყვარელი სიძისა, მეოთხენი და მეხუთე დაუვიწყარი ძმისა, მეექვსე—მაზლისა, მეშვიდე ცოლის ძმისა, მერვე მამიდაშვილისა და მეცხრე ბიძაშვილის

ნიკო (იგივე ბახვა) გიორგის ძის კიკაბიძისას.

დაკრძალვა მოხდება კვირას, 6 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე, ოლასკურის სასაფლაოზე. გამოსვენება მიცვალებულისა გოსპიტლის ქუჩა, ნესტორ კიკაბიძის სახლიდან.

27 პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 6 საათზე. 4—1

ს.|ს. **ი. გოკიელის** შვილების
ქუთაისში

ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ

მივიღეთ ცნობილი **აბრეშუმის თესლი**

ხ. ხრისტოდულიდის.

მისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის.
ტ. დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი.

ორშაბათიდან, 29 თებერვლიდან ნაჩვენები იქნება

და ელოდება იგი მკაცრ გასამართლებას.

დრამა ცხოვრების სინამდვილედ. ოთხ ნაწილად, რუსეთის გამოჩენილ მსახიობთა ჩერნოვის, მიხურინისა, და ბარლოვის მონაწილეობით.

ინგლისის მეფე საფრანგეთში და ტრესი ხალასტიაკოვი.

11 კომიკური. თ.

შესასვლელი ბილეთების ფასი: **ლოჟა—85** კაპ. **1—75** კ. **2—50** კ. **3—30** კ. **მოსწავლეთათვის მეორე ალაგზე 30 კაპ. ჯარისკაცთათვის მესამე ალაგი—20 კაპ.**
64

ანონსი: პარასკევიდან, 4 მარტიდან **ანდია ტობოლცევი.** პირველი სერია ვერბიცკის რომანიდან „დროის მიხედვით“ 5 ნაწილად.

ელექტრო **„ამპირი“** თეატრი

ორშაბათიდან, 29 დებრვლიდან ნაჩვენები იქნება:

დამსხვრეული ზღრპილები.

(ბატისტის ხელსახოცი).

მეტად საყურადღებო დრამა ოთხ ნაწილად, ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით: ბუქსოვისა და გრილის.

ინგლისის მეფე საფრანგეთში. სასაცილო დრამა 2 ნაწ. რუდოლფისა და ჯიზეტის მონაწილეობით.

12 თ.

შესასვლელი ბილეთების ფასი: ლოჟა—85 კ. 1—75 კ. 2—50 კ. 3—30 კ.
მოსწავლეთათვის მეორე ალაგი 30 კ. ჯარისკაცთათვის მესამე ადგილი 20 კ.

ანონსი: პარასკევიდან, 4 მარტიდან **ნუ მიხვალთ მასთან კითხვებით.** თანამედროვე დრამა 4 ნაწ. მოჟუხინისა და სხვა რუს გამოჩენილ მსახიობთა მონაწილ.

---

13 მარტს, ქუთაისის ქართულ თეატრში გაიმართება

შიოს დილა.

შიო მღვიმელის იუბილეს მომწყობი კომისია აუწყებს იმ პირთ და დაწესებულებებს, ვისაც სურთ მონაწილეობა მიიღონ, ჩაეწერონ ქუთ. ქალაქის ქალთა ორკლასიანი სასწავლებლის გამგესთან 11 მარტამდი, გენერლის ქუჩაზე. გამგის ნახვა შეიძლება 12—3 საათამდი.

რეპეტიცია დანიშნულია სამ. 5 მარტს, ქალაქის თეატრში, 4 საათზე. ბილეთები გაიყიდება 10 მარტიდან თეატრის კასაში.

ქალაქის თეატრი 1916 წ. წარმოდგენა № 26.

თბილისის ანსამბლის დრამის მსახიობთა მიერ

ხუთშაბათს, 3 მარტს, 1916 წ. წარმოდგენილი იქნება პოპულარული პიესა, რომელმაც ყველგან დიდი სენსაცია გამოიწვია

ვერა მირცევისა

(სისხლის სასამართლოს საქმე).

ოთხ მოქ. პიესა უკრაინცევის თხზულებიდან.

მონაწილეობენ: ქ-ნი **ე. ბოიარევისა,** პ. ვორალენკო, გ. სტაროიანსკისა, მ. სანინისა და ბ-ნ გ. არმატოვი, პ. ვშევი, კ. ტანსკი, ნ. პეტროვსკი, ვ. იავორსკი, რეჟისორი **კ. ტანსკი** თანაშემწე **ნ. პეტროვსკი**

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

თეატრის კასა ღიაა დილის 10 საათ. ნაშუადღევს 3 საათ. და 5 საათ. საღამოს 8 საათ. მხოლოდ წარმოდგენის დღეს დილის 10 საათ. წარმოდგენის გათავებამდე.

ანონსი: შემდეგი წარმოდგენა პარასკევს, 4 მარტს, მზადდება წარმოსადგენად ნაციონალური პიესა თანამედროვე ომიდან

პრაპორშჩიკის წინსვლა,

73 ამ პიესის წარმოდგენის უფლება ეკუთვნის გ. არმატოვს. 1—1

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავადმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა დ. ბალახვანის ქ. კუთხე, სახ. № 3. თ. 11

ექიმი **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ნაშუადღევს 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი № 46
14 ტელეფონი № 87 თ.

ექიმი **ი. ჩარქოზი** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—1 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა,
1 ალიბეგოვის სახლში. თ.

ექიმი **გაბრიელ იოსების ძე გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ. 2

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ყველა სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ქორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა,
3 ლორთქიფანიძის სახლი. თ

უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

1 მარტი. რიგის ხაზზე ბრძოლა გაცხოველდა, ბამიტის ჩრდილოეთით ამ ბრძოლის ხაზის ერთ ალაგას ლატიშთა რაზმი შეიჭრა გერმანელთა თხრილებში, გაანადგურა იქაურობა და უკლებლივ დაბრუნდა.

გალიცია. პოდკამენის სამხრეთით რუსთა მზვერავები განაგრძობენ მტრის შევიწროებას. გუშინ მზვერავებმა მოწინააღმდეგის რამდენიმე ტყვე წამოასხეს.

კავკასიის ასპარეზი.

რუსთა ჯარი წინსვლას და მოწინააღმდეგის შევიწროებას განაგრძობს.

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე **გვერდზე.**

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რუსეთის სამხედრო მომზადებას მტერიც კი აღიარებს.

გაზეთი „დეილი ხრონიკლი“ სწერს: „ბუკოვინაში რუსების შემოტევა გრძელდება, თუმცა სწრაფი წინსვლა შეჩერდა, რადგან რუსეთის ჯარებს წინ ავსტრია-გერმანიის ძალზე გამაგრებული პოზიციები შეხვდათ. ამ ჟამად რუსეთის არმიის ყუმბარებიცა და სხვა სამხედრო მასალა საკმაოთ მოეპოვება“.

პარტიზანული ბრძოლა რუსეთში.

ქ. მინსკიდან კორესპონდენტი შემდეგ ამბავს იტყობინება: რუსეთის პარტიზანებმა („მოხალისეებმა“ ალბათ) რუსეთ-გერმანიის ფრონტის რაიონში გაბედული თავდასხმა მოახდინეს. სოფელ ჟელეზნიცაზე, რომელიც მინსკის მაზრის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს რუსის მეომრებმა გადასწვეს ერთი სახლი, რომელშიაც გერმანელებს არტილერიის მასალის საწყობი ჰქონდათ გამართული. მოხდა საშინელი აფეთქება, რის გამო ბევრი შენობა დაინგრა, სხვათა შორის ის შენობაც განადგურდა, რომელშიაც გერმანეთის ჯარების შტაბი იყო მოთავსებული.

ოსმალეთში.

ოსმალეთის შესახებ, როგორც ყოველთვის, ამ ომის დროს, ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობები მოდის. მოსკოვიდან „რ. ს“. იტყობინებენ, რომ კონის, ანდრიის და ბრუსის ვილაიეტებში ერთნაირ მემორანდუმზე ხელი მოაწერინეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ომი.

(დღიური).

ბრძოლის ველზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

კავკასიისა და ოსმალეთ სპარსეთის ფრონტზე რუსის ჯარი კვლავ მტერს ავიწროებს: ოსმალთ ისევ სდევნიან.

რუსეთისა და ავსტრია-გერმანიის ასპარეზზე გერმანელთ ამოძრავება დაეტყოთ: რიგის ფრონტზე გაცხარებული საარტილერიო სროლა გააჩაღეს. გალიციაში კი მხოლოდ ჩვეულებრივი შეტაკებები ხდება. ახლა ყველაფრიდან სჩანს, რომ გერმანელები მთავარ ყურადღებას დვინის ფრონტს აქცევენ. გერმანიის მთავარი შტაბის გეგმის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ომი რაც შეიძლება ადრე დასრულდეს, რა თქმა უნდა, გამარჯვებით! ამ მიზნით, იგი არავითარ მსხვერპლს არ მოერიდება: ეს მიზანი კი მას უკარნახებს, რომ მეტ მნიშვნელოვან ფრონტზე მტრის ცოცხალი ძალა, რაც შეიძლება ადრე გაანადგუროს და დაქსაქსოს, არივდაროს. ამიტომ თითქმის ყველა სამხედრო მიმომხილველთა აზრის წინააღმდეგ, ვფიქრობთ, რომ ის თავის მთავარ დაკვრას ჩრდილოეთის ფრონტს მიმართავს. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ფრონტებს უყურადღებოთ დასტოვებს. არა, იგი ეცდება, რომ განსაკუთრებით სამხრეთის ფრონტზედაც მძლავრათ შეუტიოს, რომ ამით ჩრდილოეთში გამარჯვება უზრუნველ ჰყოს. თუ ეს დღემდე არ მოხდა და წინააღმდეგ ამისა მან საფრანგეთის ფრონტზე დაიწყო შეტევა, სახელდობრ ვერდენთან, ამის მიზეზი, ჩვენის აზრით, მხოლოდ ისაა, რომ მას არ შეეძლო რუსეთისაკენ მთელი თავისი ძალღონით პირი ებრუნებია სანამ, ვიდრე მოკავშირეთა ძალებს საგრძნობლათ არ შეასუსტებდა და თავის მიუალ პოზიცია—სიმაგრეების წინ მათ არ შეაჩერებდა.

ამას მან უკვე მიაღწია ბელგიისა და ბალკანეთის ფრონტებზე: ბელგიაში, იპრთან, ხოლო ბალკანეთში, სალონიკთან, ისეთი უძლეველი პოზიციები დაიკავა, რომლის წინააღმდეგაც მოკავშირენი ვერას გახდებიან; დარჩა საფრანგეთის ფრონტი, რომლის ყველაზე სუსტ ადგილს მდ. მაასზე გამართული პოზიციები წარმოადგენდა. ამისთვის ვერდენის ციხე-ქალაქის დაკავება და იქ გამაგრება გერმანელებისათვის აუცილებელი შეიქნა. ამიტომაც არის, ის ამისთვის დღეს არავითარ მსხვერპლს არ ერიდება. მაგრამ გერმანელების მოქმედებიდან ისიც ცხადათ გამოსჩანს. რომ ვერდენის აღების შემდეგ მათი განზრახვაა მთავარი გადამწყვეტი შეტევა დვინის ფრონტზე დაიწყონ.

საფრანგეთ—ბელგიისა და გერმანიის. ასპარეზზე ვერდენთან ცხარე ბრძოლა ისევ გრძელდება. სააგენტოს დეპეშის გადმოცემით, ვერდენის ჩრდილოეთით ქვეითა ჯარის იერიშები არ მოსხდარა, მხოლოდ არტილერია უშენდა ყუმბარებს მალენკურის, დუომონისა და ვევრის რაიონებში; უშენდა აგრეთვე მულენვილის და გოკოვოს სექტორის რაიონშიაც. მულენვილის ფორტი ვერდენიდან აღმოსავლეთით სულ 5—6 ვერსის სიშორეზეა; სჩანს გერმანელები აღმოსავლეთიდან საგრძნობლად დაუახლოვდენ ვერდენს; დაუახლოვდენ მას სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდანაც. მდ. ენის ჩრდილოეთით, მეზონ-შამპანში, ნავარენის დასავლეთით და არგონებში ფრანგები არტილერიას ამუშავებდენ და გერმანელების პოზიციებს ყუმბარებს აყრიდენ, მაგრამ უშედეგოთ. გერმანელებმა კი ყუმბარების დაშენა ისევ ვერდენთან მორტონის სიმაღლეზე გააძლიერეს (მდ. მაასის მარცხენა ნაპირზეა); ისინი ვევრთანაც ძლიერათ უშენდენ მძიმე არტილერიის ყუმბარებს. გერმანელებმა იერიშიც სცადეს ელზასში, მაგრამ უნაყოფოთ ჩატარდა. ვერდენის ჩრდილოეთის რაიონში საჰაერო დიდი ბრძოლაც გაიმართა. ფრანგების საჰაერო ფლოტილიამ დიდი სიმარჯვე გამოიჩინა და გერმანელების ჰაეროპლანების იერიში შეაჩერა.

სხვა ფრონტზე და ზღვაზე ისევ სიწყნარეა.

და ოსმალეთის ტახტის მემკვიდრე წარუდგინეს. მემორანდუმზე, ვითომ ხელი უწერია 70,000 კაცს; მემორანდუმით მცხოვრებნი მოითხოვენ, რომ გადაყენებულ იქნას ახალგაზდა ოსმალთა კაბინეტი და სეპარატიულ ზავზე მოლაპარაკებას შეუდგენ. ხოლო მეორე მხრით, რუმინიის გაზეთების გადმოცემით, ვტყობილობთ, რომ, რაც ბალკანეთში ოსმალეთის ჯარები იყო, ყველა კავკასიის ფრონტისკენ გაგზავნესო.

ვერდენის გარშემო ცუდი ნიშნები.

— გაზეთ „ტიმერის“ სამხედრო მიმომხილველი ვერდენთან ბრძოლის შესახებ შემდეგ ნაირათ მსჯელობს: ჩვენ აქედანვე უნდა შევეჩვიოთ იმ აზრს, რომ გერმანელებს გადაწყვეტილი აქვთ, რათაც უნდა დაუჯდესთ საფრანგეთის ფრონტზე; უსათუოდ უნდა გაიმარჯვონ ამ მიზნისთვის ისინი არავითარ მსხვერპლს არ ზოგავენ, მაგრამ ფრანგები ამისთვის სულაც არ შეწირავენ თავის ნამდვილ ეროვნულ ინტერესებს და ერთი რომელიმე პოზიციის დასაცველათ მთელ ჯარს არ გასწყვეტენ გერმანელებივით ისინი ცდილობენ თავისი ფრონტის დაცვას და გერმანელთ ნებას არ მისცემენ, რომ სადმე ის გაარღვიონ. ამ ჟამად ვერდენთან ფრანგების სულ ერთი რაზმი მოქმედებს. გერმანელების ჯარების რიცხვი სამჯერ მეტია აქ. საშიში მხოლოდ ისაა, რომ საზოგადოებამ არ იფიქროს, თითქო ციხე ქალაქი ვერდენი ხელშეუვალია. არა მან უნდა იცოდეს, რომ ახლა ასეთი ციხე ქვეყნათ არაა.

— ცნობილი ფრანგი „სოციალისტი“ ერვე თავის გაზეთში სწერს: ვეცადოთ შეცდომები თავიდან ავიშოროთ და ჩვენც ისე მოვიქცეთ, როგორც გერმანელები იქცევიან: შემოვინახოთ უკანასკნელ მომენტისათვის მძიმე არტილერია და დიდრონი ყალიბის ყუმბარები ვიხმაროთ მტრის ჯარის ზემოთხრილების დასანგრევათ, როგორც ამას გერმანელები სჩადიან.

— მინისტრი კლემანსო აღნიშნავს რა გერმანელების მიერ—ვერდენთან აუარებელ საარტილერიო იარაღის მოგროვებას, მოითხოვს ახალავე გაასწორონ ის შეცდომები, რაც ვერდენთან ბრძოლაში იმ გმირთა-გმირ (?) მცველებს მოუვიდათ, რომლებიც თავისი პოზიციის ყოველ ნაბიჯს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე არ სტოვებდენ.

— ხმები გავრცელდა საფრანგეთის სამხედრო მინისტრი გალიენი ადგილიდან გასვლას აპირებსო.

— გერმანეთის საზოგადოების მოლოდინი, რომ საფრანგეთის ფრონტზე გერმანია მალე გაიმარჯვებდა, გაცრუვდა; ამიტომ ხალხმა მოთმინება დაჰკარგა და მთავრობის წინააღმდეგ ამხედრდა.

ბერლინში ახლა მთავრობას ძალიან ეშინია იმისა, რომ ხალხმა არ გაიგოს ვერდენთან დახოცილთა რიცხვი და დაუზოგველი ურიცხვი მსხვერპლის შეწირვა. ბოლო ხანებში სოციალისტების აშკარათ საწინააღმდეგო გამოსვლა სულ უფრო და უფრო ძლიერდება: წინამძღოლთა სიტყვები სულ უფრო და უფრო რევოლიუციონური ხდება.

ბუქარესტიდან მოსული ცნობებით ბერლინში უკვე მოხდა არეულობა: ბრბოებმა იმპერიის კანცლერის ბინის ფანჯრების მინები სულ ერთიანათ ჩალეწეს.

ყარამ იესეძე და ალექსანდრე (კოკა) ნემსაძეები, დორიმენდო ყარამის ასული გელოვანისა და ოლღა გასვიანი ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი მეუღლისას დანარჩენი დედისას

მატრონა ექვთიმეს ასულის ნემსაძისას,

რომლის დასაფლავება და უკანასკნელი გამოთხოვების დღე არის დანიშნული ამა მარტის 4-სა, დღით პარასკევს, მექვენის ეკლესიის სასაფლაოზე.

რიგის რაიონში.

გაზეთ „ვეჩერნეე ვრემიას“ რიგიდან დეპეშით ატყობინებენ: გერმანელებმა „ფრონტზე გაცხარებული საარტილერიო სროლა გააჩაღეს:“ ისინი ყუმბარებს დაუზოგველათ უშენენ რუსეთის ჯარის პოზიციებს.

რუსული პრესა.

22 თებერვალს, სახელ. სათათბირომ სამხედრო ცენზურის კანონპროექტი განიხილა ს. დ. და შრომის ჯგუფმა პროექტის წინააღმდეგ მისცა ხმა, თუმცა კანონპროექტში სათათბირომ რამდენიმე შესწორება შეიტანა და კანონ-პროექტიც არსებულ საცენზურო წესებს ბევრათ სჯობია.

უკიდურესი მემარცხენეების ასეთი საქციელის გასამართლებლათ და ასახსნელათ გაზეთი „დენი“ შემდეგსა სწერს:

„სამხედრო ცენზურა 87 სტ. ძალით არის შემოღებული, მაშასადამე, ეს კანონი კი არაა, არამედ დროებითი წესებია. სახელ. სათათბირო თავისი კომისიის მიერ შესწორებულ კანონ-პროექტის უარყოფით მთავრობის კანონ-პროექტის და საზოგადოთ აწინდელ სამხედრო ცენზურის უარყოფას დაადასტურებდა.

ამით ისინი სამხედრო ცენზურას კი არ უარყოფდენ, როგორც მართლა სამხედრო ცენზურას, არამედ ისეთ ცენზურას, რომელიც დღეს სამხედროს სახელით სარგებლობს და მწერლობაზე ძველი ცენზურის წესებს ავრცელებს“.

შემდეგ გაზეთი ადარებს ახალ კანონს უკვე არსებულს და ამბობს, რომ ერთი მთავარი ცვლილება, მართლაც, უნდა აღვიაროთ, რაც დიდ სიკეთეს წარმოადგენს; სახელდობრ ის, რომ ახალი კანონით მწერლები—გამომცემლები ადმინისტრატიულათ აღარ დაისჯებიან, არამედ ისინი სამსჯავროს წესით უნდა გაასამართლონ. მაგრამ გაზეთი აქაც ბევრ სახიფათოს რისმე ხედავს, ის სწერს:

„ვინ დაუშლის მთავრობას, როცა დაინახავს, რომ სამსჯავროს, ბიუროკრატიული წინამძღოლი საქმეს აჩერებს, ისევ თავის ნაცად ადმინისტრატიულ წესებს დაუბრუნდეს?! ჩვენი მთავრობის პრაქტიკა ბევრ საბუთს გვაძლევს, რომ ეს ვიწამოთ და ასეთ რასმე მოველოდეთ.

ამნაირათ, დასკვნის გაზეთი, მიუხედავათ იმისა, რომ კანონპროექტს ბევრ სიკეთე შეაქვს არსებულ წესებში, მაინც სტოვებს ისეთ გასაძრომს, საიდანაც ადმინისტრაციას საშუალება ეძლევა თავისი ფარხმალი—ადმინისტრატიული „უსმოტრენიე“ ფართოდ მოიხმაროს“.

დეპ. კარლო ჩხეიძის ავადმყოფობა.

ქ. პეტროგრადიდან სასიამოვნო ცნობა მოვიდა. ამას წინად მძიმე ავად შექმნილი დეპ. კარლო ჩხეიძე თანდათან უკე ხდება. როგორც რუსეთიდან, ისე საქართველოდან დეპუტატს კვლავ მრავალი დეპეში მისდის, სადაც დეპეშის გამგზავნელები დეპუტატს საჩქაროდ განკურნებას უსურვებენ.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

29 თებერვალს და 1 მარტს მოხდა სხდომა იმერეთის სამღვდელოებისაგან არჩეული კომისიისა არქიმანდრიტის ნესტორის თავმჯდომარეობით. იმსჯელეს ქართული გალობის ნოტებზე გადაღებისა და სასულიერო ყოველ კვირეული ჟურნალის გამოცემის შესახებ.

იმ დაუწერელი გალობის სიის შედგენას, რომელნიც სხვადასხვა საეკლესიო წიგნებში სწერია, მიანდვეს დეკ. მ. იოსე წერეთელს და მღვდ. რაჟდენ ხუნდაძეს. ეს სია დაწერილი სრულ საგალობლებისა წარედგინება იმავე კომისიას, რომელიც სულ მოკლე დროში უნდა შეიკრიბონ. ამ კრებას შეუერთდება გურია-სამეგრელოს სამღვდელოებათაგან არჩეული კომისია, სადაც შეერთებული ძალით იმუშავებენ, როგორც გალობის ნოტებზე გადაღებისათვის, აგრეთვე სასულიერო ჟურნალის დაარსებასა და გამოცემაზე.

◆ შალვა მონაგიძე გვთხოვს გამოვ

„დღეს ჩვენი აღდგომა არ არის!“

(ესკიზი).

— რა ვქნა, შვილო! მეტს ველარ ვუყურებ შენს ტიტველ ბავშვებს!..

თვალები დამელია... გული მამიკლა დღეს პატარა გოგოს ძიგძიგმა!

ფეხს მაგათ არ აცვიათ, საწყლებს და ტანს!..

ზამთარი ახლა იწყება. ჯერ დიდი მარხვაც არ დაწყებულა და შენ კი ჰპირდები:

— მოიცათ, შვილებო! მალე აღდგომა მოვა. ახალ ტანისამოსს მაშინ შეგიკერავთ. ფეხსაცმელსაც მაშინ გიყიდითო...

სად აღდგომა, სად დიდი მარხვა?! ჯერ, სად არის აღდგომა?.. მანემდი ხომ სიცივით დაიხოცებიან ეგ საწყლები!..

ან აღდგომას ვინ გამოგვიგზავნის?! ვინ არის ჩვენი მოწყალე, შემბრალებელი?!

ვინც იყო ყველა ომშია! ვისაც კი ვებრალებოდით, კისერზე ვეკიდეთ—ყველა მოგვშორდა, ყველას დავეწყვიდით. ყველას თავისი გაჭირვება აწუხებს! შენთვის ვის სცალია?!

ისევ ჩვენ, ჩემო რძალო, ჩვენ უნდა გავინძრეთ, რომ შიმშილით არ ამოვიხოცოთ!!.

— მართალია, ბატონო, მაგრამ აპა, რა ვქნა?. დღე ერთია და ასჯერ შემომტირებენ.

ვპირდები. ამ ცარიელი სიტყვებით ვაკმაყოფილებ... ცოტას ვამშვიდებ, თორემ აგერას შემჭამენ.

— მერე? მარტო შეპირება რას უშველის?. სხვა რამე უნდა ვიფიქროთ!!

— რა, რა უნდა ვიფიქროთ? ღმერთმანი არ ვიცი. ჯავრით აგერ გადავირევი. ღამე არ გვინავს და დღე.

ღმერთო შეგცოდე და ნეტაი მკვდარი ვიყო. ამ საცოდავების ტანჯვა-წვალებას მაინც აღარ შევხედავ.

შენ, ტანისამოსს ჯავრობ, ბატონო. ახლა ნახე, ეს ორი დღეა მარტო ცივი პურის მეტი ჩვენს პირში არა ჩასულა რა. ხვალ, ვგონებ, აღარც ის გვექნება. ამ ომს ბოლო არ უჩანს. წელს ყანებს ვინ დაგვიხნავს, ვინ დაგვითესავს?.

ან რა დავთესოთ? სათესლე სად არის?!

ხარები ჭირმა და უპატრონობამ გაგვიწყვიტა, კაცები ყველანი ომშია და ჩვენთვის სიკვდილი განა სანატრელი არ იქნება?!

— ოჰ, შვილო! მართალი ხარ! მეც ეგ მაწუხებს. მეც ეგ მიხეთქავს მოხუცებულ გულს.

მაგნაირმა ნაღვლით სავსე ფიქრებმა გადამაწყვეტია, ამ მოხუცებულობის დროს, კიდევ კარში გავსულიყავ, სამუშევარი სადმე, ოჯახს გარეთ, მეძებნა.

შენც კარგათ იცი, შვილო. რა დროის ახლა ჩემი გარეთ გასვლაა?! რა დროის ჩემი ოჯახის მოშორებაა?! სულ ორი პარასკევილა დამრჩენია. ცალი ფეხი სამარეში მიდგია...

რაც ჩემი ბიჭები წამოიზარდენ, ხელობას თავი დავანებე. ჩემი ხელსაწყო, აგერ ათი წელიწადია, სადღაც ბეღელში მიყრია, მაგრამ რა ვქნა?! გაჭირვება, შვილო, ყველაფერს გაფიქრებინებს!..

მე გადავწყვიტე, ჩემო რძალო, უნდა წავიდე. მოგშორდე დროებით მაინც, თუ რამე ვიშოვე, ხომ კაი და თუ არა, ერთი ტყვილა მჭამელი მაინც მოგაკლდებათ.

— სად? სად უნდა წაბრძანდე, ბატონო?!

— სად და სამუშევრად. ჩემი ხელობა დურგლობაა. დურგალი ვიყავი სიყმაწვილიდან. ამ ხელობით ვზრდიდი შვილებს... ვემსახურებოდი ხელმწიფეს. მეტი რა ვიცი?!

ხვნა-თესვა არ მემარჯვებოდა არც წინეთ და არც ახლა შემიძლია. ისევ ჩემს ხელობას გავიხსენებ.

— მერე? შორს, მაინც ვერ წაბრძანდები? თვალებით ველარ იმზირები. სიარულიც ხომ აღარ შეგიძლია!!

— აპა, ახლოს, შვილო, წინეთაც არ იყო ჩემი სამუშევარი და დღეს სადღა იქნება?!

— აპა, სად უნდა წაბრძანდე?

— აბხაზეთში, შვილო! იქ ვარ სიყმაწვილეში ნამუშევარი. ხე-ტყე, ჩვენში მოისპო, თორემ იქ ჯერ ხელუხლებელია. ხის მუშაობა ბევრია და იქ უნდა წავიდე...

— მერე? რითი წაბრძანდები, ბატონო? ფული ჩვენ არ გაგვაჩნია და სასესხებელს ვერსად ვიშოვნით!

— არა უშავს რა! ცოტას გიორგა ლაბაძეს გამოვართმევ. ისიც ზიდის ამ დღეებში აფხაზეთისაკენ. ცოტას კიდევ ივანე გოგიძეს და იოლად წავალ. სენაკამდის რკინის გზით წავალ და მერე ღმერთი მოწყალეა, თუ გზაში არ დამიგდეს, რამეფრად ჩავალ. ან ქვევითად, ან ცხენით ან ურმით, არა მიშავს რა...

— უი! ჩემი ყურების გაგონებას?! რა მეყურება?! თქვენ ქვევითად, სად შეგიძლიათ, ბატონო, სიარული? ეს სამი თვეა ეკლესიაში არ ბრძანებულხარ. აგერ, ყურის ძირშია ჩვენი ეკლესია და ქვევითად სიარული სად შეგიძლია, ბატონო ჩემო!?

არა, არა, ჩემო ბატონო! იყავით ისევ აქ. იყურეთ ჩვენი ტანჯვა, გაჭირვება. ნუ მოგვშორდებით შენი ჭირიმე. რაც ღმერთმა მოგვცეს, ის ვიკმაროთ. აქვე—ჩვენს ოჯახშივე ავიტანოთ ყველაფერი. ღმერთი მოწყალეა. ეგებ ომიც მალე გათავდეს და შენი შვილების დაბრუნებით გაგვახაროს... არა, არა, ბატონო! ამას ნუ იზამთ? რა დროს თქვენი გარეთ გასვლაა? ჩვენს ოჯახს შენს მეტი მამა კაცი არ ჰყავს... მარტო შენი ცარიელი სიტყვაც დიდი იმედია ჩვენთვის... მარტო შენი ერთი დაძახილი და ხმაურობა დაატუქსავს მტერს, ასიამოვნებს მოყვარეს...

ვერა, ვერ გაგიშვებთ, ჩემო ბატონო! ნუ გეწყინება!..

ასე ეხვეწებოდა ერთ დილას გოგია ვარდიძეს თავისი რძალი და ოჯახიდან ამ მოხუცებულ მამამთილს სამუშევრად არსად უშვებდა, მაგრამ გოგია ვარდიძე თავის გარდაწყვეტილებას მაინც მტკიცედ ასრულებდა...

— კი, შვილო! იმედი მაქვს შენი, შიმშილით არ მომკლავ. მიპატრონებ, მაგრამ ჩემს გარდა შენ, სხვებიც ბევრი გყავს საპატრონო. შენს შვილებს პატრონობა არ უნდა? .

მე, რაც უნდა იყოს, მაინც მამაკაცი ვარ. მოხუცებული კი ვარ, მაგრამ თავმოყვარეობა კიდევ შემრჩენია. ქალის—სუსტ არსებას კისერზე სარჩენათ, რავა დავაწვე?!

მე წავალ, წავალ, შვილო!

ჯერ აღდგომა შორსაა. ვიმუშავებ. ფულს ავიღებ.. საალდგომოთ შენს შვილებს თავის ტოლ-ამხანაგებში, არ გამოვსხლეტ, გულს არ დავწყვეტ... საალდგომოთ მოვალ.. მანემდის, ეგებ ომსაც რამე ეშველოს და ჩვენი ბიჭები შინ დაგვიბრუნდეს. ასე შვილო!

მე გადაწყვეტილი მაქვს.. ნუღა დამიშლი. შენ მხოლოდ საგძალი გამომიწყვე და გზა დამილოცე.

მე, ჩემს ხელსამწყოს ვნახავ, ხურჯინში ჩავაწყობ!..

უთხრა გოგიამ თავის რძალს და ბეღელში შენახულ ხელსამწყოს ძებნა დაუწყო.

— აპა, ბატონო აღარ იშლი, მიბრძანდები ეგ არის?!

— კი შვილო, მივდივარ, ნუღა დამიშლი?!.

— აპა! მე საგძალს გამოგიწყობ. შენ ხელსამწყო ხურჯინში ჩააწყვე! აი, ძველი საბანიც თან წაიღე. შეგცივდება

უთხრა რძალმა და ძველი, დახეული საბანი გამოუტანა.

გოგიამ ხურჯინის ცალ თვალში ხელსამწყო ჩაალაგა. მეორეში ძველი საბანი და მალე ყველაფერი გამოწყობილი იყო. შუა სახლში ცეცხლის პირს მთელი თავისი ოჯახი, შვილიშვილები და რძალი გარს შემორტყმოდენ გოგიას და თითოეული ცალ-ცალკე ემშვიდობებოდა.

— შვიდობით, შვილებო, შვიდობით! ღმერთმა თქვენი თავი მალე მიჩვენოს!

აბა, თქვენ იცით, არ იეშმაკოთ! დედა არ გააჯავროთ! მე სამუშევრათ მივდივარ.. ფულს ვიშოვნი.. საალდგომოთ მოვალ და ტანისამოსსა, ფეხსაცმელს ყველას გიყიდი...

უთხრა ბავშვებს და სათითაოთ ყველა გადაკოცნა.

— შვიდობით, ბაბუა შვიდობით! შეყვირა ბავშვებმა. საალდგომოთ ხომ მოხვალ, ბაბუა?

ჰკითხა ერთმა.

— კი, ბაბუა, მოვალ. ტანისამოსსა და წითელ კვერცხებს მოგიტანთ.

უპასუხა მოხუცებულმა და თავისთვის ნაღვლიანათ წაილუღლუღა: „საალდგომოთ კი არა, ეგებ, ორი კვირაც ვერ ვიცოცხლო, ისე სუსტათ ვგრძნობ თავსო“..

— შვიდობით შვილო! მოუბრუნდა რძალს. აპა, შენ იცი და ამ ოჯახმა. საალდგომოთ თუ კიდევ სული შემრჩა მოვალ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადოთ, რომ მან ივ-ვნე პასპორტი ლ. ჯაფარიძისა (რაჭის მაზრის მცხოვრების) მპარეველს პასპორტი შეუძლია მოითხოს თამაგარის მაღაზიაში.

✦ 17—29 თებერვლამდე ქუთაისში ნი გზით შემოვიდა შემდეგი სანოვაგე: ფქვილი 22 ვაგონი, სიმინდი 2 ვაგონი, ფხვნილი შაქარი 2 ვაგონი კონტი შაქარი 7 ვაგონი, ქატო ერთი ვაგონი, დაუწმენდელი ნავთი 2 ვაგონი, ვთი ორი ვაგონი თივა 7 ვაგონი, შე- ორი ვაგონი სხვადასხვა სანოვაგე 338 ვაგონი.

✦ ქუთაისის ქალაქის მოურავი ბ-ნი ვ. ჩიქოვანი ამ ჟამათ ავად არის.

✦ როგორც მოხსენებული გვქონდა, ქუთაისის გუბერნატორმა მოვაჭრეებს გაუცხადა სანოვაგე ზღვით ქ. ფოთიდან შემოეტანათ.

ამის გამო ვაჭრებმა შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ ნ თავის მხრით იშუამდგომლოს მთავრობასთან, შესცვალოს განკარგულება, რადგანაც ისეთი სანოვაგე, როგორც სიმინდი ქატო, ქერი, ფქვილი, რომელსაც ებში ყიდულობენ ჩრდილოეთ კავკასიაში, ზედ მეტ ხარჯს გამოიწვევს და მოსვლას დააგვიანებს. სასურსათო კომისიამ ების შუამდგომლობა მიიღო და ინა დაუყონებლივ აღიძრას მთავრობის წინაშე სათანადო შუამდგომლობა.

$ კვირას 6 მარტს. შაბათამდის 13 ტამდე ჩილინგაროვის ახალ ხაკანდირომში თეატრის პირდაპირ გაიმართება „ხაჩაიე'', რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება ქუთაისის ახალი თეატრის შენებელ ფონდის სასარგებლოთ.

✦ ქალაქის სანიტარმა ილია ჩაჩანიძემ მი შეუდგინა ბალახვანის ქუჩაზე უსუფთაობისთვის ონისიმე ლილუაშვილსა და ლარ მესხს.

✦ ამ ჟამათ ქუთაისის ქალაქის საავადმყოფოში იმყოფება ორი ავადმყოფი ტიფით და სამი ყვილის ავადმყოფობით.

✦ ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა შუამდგომლობს გუბერნატორის წინაშე, რადგანაც ომისა და სხვა და სხვა ეზის გამო ქალაქის 15 რწმუნებულთაგან ხუთი გამოაკლდა და ამ შემადგენლობას უჭირს ქალაქის რთული საქმეების მოწესრიგება, ნება მიეცესთ მათ მოიწვიონ 1908—1912 წლის ქალაქის რწმუნებულებით ნამყოფნი მომრიგებელი მოსამართლე თ-დი ი. დ. ნაკაშიძე და რფილე ვაშალომიძე.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ფიცხელი განკარგულებით მოსთხოვა ფოთის ქალაქის გამგეობას, რომ ამოერჩიათ კაცი ქალაქის თავის ადგილზე. ამის შესახებ ნებულმა ქალაქის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რადგანაც ახალი კანონის ძალით ქალაქის თავის ადგილზე არ შეიძლება მიიწვიონ ისეთი პირი რომელიც ამომრჩეველთა სიაში არ არის აღნიშნული, ნება მიეცათ გამოიწვიონ სპარსეთიდან ქალაქის ხმოსანი თ-დი იური მეღ. ფალავა.

✦ დ. ხარაგოულის (შორ. მაზრა) მცხოვრებლებმა ივანე დ. წულუკიძემ, აკაკი ი. ლეჟავამ და სევე პ. ლეჟავამ შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება მისცეს დააარსონ „დრამატიული საზოგადოება" დ. ხარაგოულში.

✦ ქუთაისში ამ ჟამათ არის შემდეგი სათადარიგო სანოვაგე. სიმინდი 6212 ფუთი; ფქვილი 66,313 ფუთი; კრუპა 468 ფუთი; ბრინჯი 507 ფ. შაქარი 787 ფ. კარტოფილი 2,250 ფ. საჭმელი ზეთი 401 ფუთი, ერბო 3 ფუთი, თევზი 225 ფ. მარილი 1475 ფ. ბზე 229 ფ. ქატო 918 ფ. შეშა 17 საჟენი, ქვანახშირი 30 ვაგონი, ნავთი 617 ფ. სანთელი ქარტოფილის 22 ფ. ასანთი 5990 ფუთი საპონი 976 ფ., თივა 2071 ფუთი

✦ საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობამ მიიღო სოფელში აღმოჩენილი ტყავზე დაწერილი სიგელი მეფე დიმიტრისა (XП საუკუნის).

✦ იმერეთის ეპისკოპოსმა ყ-დ სამღვდელო გიორგიმ საარხიმანდრიტო კვერთხი შესწირა მოწამეთის მონასტერს.

$ ქუთაისის გუბერნატორმა ორი კვირის ციხეში დაჯდომით დააჯარიმა ქუთაისის მოვაჭრე ყასაბი მიხეილ ჯავახაძე ხორცის ნიხრის დარღვევისათვის დ. ხონის (ზუგ. მაზრა.) ბაგრატა რეკვავა—ხუთი თუმნით, 29 მუხ. დარღვევისათვის და დ. ხონის მცხოვრები თეიმურაზ გველია სავალდებულო წესების 30—ე მუხ. დარღვევისათვის—25 მანეთით.

✦ მოწამეთის მონასტრის წინამძღვარმა არხიმანდრიტმა ნესტორმა გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ მოწამეთში მისასვლელი გზატკეცილი საერობო თანხიდან გადადებული ფულით გაკეთდეს, რადგან ხალხი გაჭირვებულია და ამ ჟამათ არ შეუძლია ამ საჭირო საქმის შესრულება.

✦ ოზურგეთის მაზრის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ წალენჯიხის ბოქაული ილარიონ კუხალეიშვილი, ერთგული სამსახურისთვის, დააჯილდოონ ვლადიმერის მე-4 ხარისხის მედლით.

✦ ორშაბათს, ქუთაისის ქართულ თეატრში ვიღაც სიმენსმა გამართა ცირკი. თეატრი ხალხით გაჭედილი იყო.

✦ ქალაქის სანიტარულმა ექიმმა, სანიტარ შავგულიძის თანდასწრებით უსუფთაობისათვის ოქმი შეუდგინა ორპირის ქუჩაზე მცხოვრებს ალექსანდრე ყაზარაშვილს და მესხეთის ქუჩაზე მ. ჯანგავას, ნ. ნანეიშვილს და ი. დულაძეს; ფერმის ქუჩაზე მ. კასაპოვს და მ. ვაწაძეს.

ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ნიხრის დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა მოშე კაკიტელაშვილს, ალ. ვაჩიბერაძეს, თ. ჭეიშვილს, პ. ჯანგავას და ალ. თვალიშვილს.

✦ ქართულ ჟურნალ გაზეთების ახალგაზრდა თანამშრომელი ნიკ. ასათიანი ამ ჟამათ ჯარში გაიწვიეს.

✦ ქუთაისის პოლიცმეისტერი ბ-ნი მახარაძე ატყობინებს ქუთაისის ქალაქის გამგეობისა, რაც შეიძლება, დაიჩქაროს ცეცხლის მქრობელთა რაზმის წარსული თვის შესანახი თანხა.

✦ გრიშა ხელაძე გთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 29 თებერვალს, ქალაქის თეატრში მას უპოვნია საფულე. პატრონს შეუძლია მოიკითხოს პუშკინის ქუჩაზე, ი. ხელაძის სტამბაში.

სოფლად.

ტყიბული.

— პარასკევს, 26-ს თებერვალს, რკინის გზის სადგურთან მატარებელმა გასრისა ზაქარია დვალი, რომელმაც იქვე სული განუტევა.

— ქვა-ნახშირის მაღაროში სამუშევრად ამას წინად მოიყვანეს 400—მდის ოსმალო სამხედრო ტყვეები.

—16 თებერვალს, ს. ზუგდიდს მცხოვრებს პ. გუპელაძეს დაუწვეს ღვინის საწყობი. დამნაშავე დაიჭირეს. ზარალი 200 მან. უდრის.

—15 თებერვალს სდ. ჯუმათის (ოზურგეთის მაზ.) ს. ლეროს მცხოვრებმა თევ. როჟ. გელოვანმა და ს. ჩოჩხათის მცხოვრებმა სოლ. ტულუშმა გასტეხეს ნესტორ მახარაძის სავაჭრო და გაიტაცეს ფულით სამასი მანეთი. დამნაშავე დაპატიმრეს.

—14 თებერვალს ღ. ოზურგეთში პოლიციამ დააპატიმრა მიხეილ დარჩია, რომელსაც ბრალდება ტყვეულობის მალაზიების გატეხა.

—ამ დღეებში ქ. ფოთში თავის მოკვლის განზრახვით რევოლვერი დაირტყა თბილისის სააზნაურო ბანკის ფოთის მამულების გამგის მეუღლემ.

— სოფ. ზედა ილემში ვიღაც ქურდბაცაცებს გაუტეხიათ ვ. ანთაძის დუქანი და წაუღიათ 120 მანეთად ღირებული საქონელი.

ამ ბოლო ხანებში აქეთ მეტად გახშირდენ ქურდ-ბაცაცები, და დიდათ ავიწროებენ ისედაც უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ მცხოვრებლებს. საჭიროა ასეთ მოვლენას ყურადღებით მოეპყრას ადმინისტრაცია.

სახელმწიფო სათათბირო.

აჯემოვი. 1914 წ. მარტში სათათბირომ დაჰგმო მთავრობის პოლიტიკა საზოგადოებრივ სამართლიან ბრძოლისა. ეხლა ომმა დაამტკიცა, რომ სათათბირო მართალი იყო. და ამ ბრძოლამ სახელმწიფოს ძლიერება მართლაც შეარყია. მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა მაკლაკოვმა ამ კათედრიდან პირდაპირ განაცხადა: სათათბიროს უმრავლესობასა და ჩემს შორის ისეთი დიდი უფსკრულია, რომ ერთმანეთის გაგებასაც ვერ მოვახერხებთ.

ეხლა მის ადგილას მემარჯვენეთა ფრაქციის თავმჯდომარეა, მან უპირველესად ზურგი აქცია მემარჯვენეებს და სხვისი სამოსელით გამოეწყო. ბოლოს გამოირკვა, რომ მისი ნაბიჯიც მხოლოდ ლიტონი სიტყვები იყო. შინაგან საქმეთა მინისტრს ერთი ზნეცა სჭირს. მან მოისურვა ლიბერალურ პრესის გამოყენებაც და ამავე დროს დაარსა ბეჭდვითი საქმის ბიურო კურლიანდის ხელმძღვანელობით. ეხლა სამინისტროებში ვერც ერთი გაზეთის თანამშრომელი ვერავითარ ცნობებს ვერ მიიღებს.

მერე სხვაფრივ დააყენეს საქმე. მოუსვენარ გაზეთებს ისე გვიან აძლევდენ ცნობებს, რომ მათი გამოყენებაც აღარ შეიძლებოდა. აჯემოვი ასე აბოლოვებს სიტყვას: 1905 წლის უფლებების მოსაპოვებლად ეხლა უკვე თვით ხალხი გამოვა. (მარცხნივ ტაში).

1 მარტის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს, შემდეგ **ვარუნ სეკრეტი.** სათათბირომ მიიღო კოოპერატივების წარმომადგენელთა თხოვნა, რომ გადადებულ იქნას კოოპერატივების შესახებ კანონ-პროექტის დამტკიცება.

გრონსკი შენიშნავს, რომ რუსეთის საშინაო პოლიტიკის კურსი ისეთივე რჩება, როგორიც მაკლაკოვის დროს იყოვო, მთავრობა საერობო მუშაობას კვლავ წინ ეღობება. სათანადო დახმარების მაგივრად კოოპერატივებს, რომელიც ერთად-ერთი იარაღია სიძვირესთან საბრძოლველათ, მის სამოქმედო ასპარეზზე ზღუდავს. მთავრობის ასეთი ქცევა დღევანდელ განსაკუთრებულ მომენტში, როდესაც იგი უნდა სცდილობდეს ხალხთან დაახლოვებას და ხალხის საკეთილდღეოდ ყოველ ზომის მიღებას, ამტკიცებს იმის, რომ მას დღევანდელი მომენტის მნიშვნელობა არ შეუგნია. საქმის უკეთესად წასაყვანად აუცილებლად საჭიროა ისეთი სამინისტროს შედგენა, რომელსაც ხალხის თვალში ნდობა ექნება. (ტაში მარცხნივ.)

ხინაძის სიტყვა. სამინისტრომ ჩვეულებრივ სიძვირესთან და სხვა ბოროტ მოვლენებთან საბრძოლველად არ ისურვა ხალხის თანამშრომლობა [illegible] მდგომარეობამ მეტად [illegible] მიიღო, მაშინ ბრძოლის ველზე მხოლოდ ჯარის უფროსებმა შეიგნეს, რომ ხალხის დაუხმარებლად ომის წარმოება და მისი საბოლოოდ დაბოლოება ყოვლად შეუძლებელია. დღეს ყველამ კარგათ იცის, თუ რა ღვაწლი დასდვეს ამ ომში კოოპერატივებმა და საქალაქო კავშირებმა, რომელსაც სამინისტრო პირველ ხანებში საოცრად ავიწროებდა. საყურადღებოა პოლონეთის სამეფოს საკითხი. პოლონელნი ომის დაწყებამდე რუსეთის მეტად უმადურნი იყვნენ და ყველა ეს რუსების ადმინისტრატორების პოლონეთის სამეფოში არა ადამიანურ მოქმედების ბრალი იყო. მომავალში რუსეთისთვის არა მარტო ხმლით გამარჯვებაა საჭირო, არამედ შინაურ სახელმწიფოებრივ წესწყობილების სრულიად გარდაქმნა და ხალხისთვის სასურველ სანდო სამინისტროს შედგენა. (დარბაზში ტაში).

ბომანი მიუთითებს დეპუტატებს, რომ როდესაც ომის ცეცხლი დაინთო და, როდესაც იმპერიის ყველა ეროვნებანი ერთსულოვნად ბრძოლის ველისაკენ გაემართა, სამინისტრომ იმპერიის ყველა მცხოვრების მოქალაქობრივ უფლებით გათანასწორება მაინც არ ინება: ებრაელთ მაინც სდევნიან პროვინციებში, ვინაიდან იქაურ მოხელეებზე ვერავითარი ცირკულიარი ვერ მოქმედობს. შჩერბატოვის დროს ყველას ახსოვს ებრაელთა შევიწროება, მაგრამ დღეს არც ხვოსტოვის ხელში ადგია მათ კარგი დღე. საჭიროა გამოცემული ცირკულიარის (სხვა ეროვნებათა შესახებ) მთავრობის მოხელეებისგან მეტი პატივისცემა და მისი დაუყონებლივ ასრულება.

სახელმწიფო საბჭო.

29 თებერვლის სხდომა.

თავმჯდომარეობს ქუძინი. იხილავენ ბაჟების საკითხს, დიდ კამათს იწვევს მე-5 მუხლი, სავაჭრო სამრეწველო კომიტეტების ახალი გადასახადებით დამძიმება. **გურკო** ვრცელ სიტყვაში წინადადებას იძლევა, გაანთავისუფლონ სავაჭრო სამრეწველო კომიტეტები ახალ ბაჟებისგან.

ხანგრძლივ კამათს იწვევს აგრეთვე მე-10-ე მუხლის განხილვა, 23 წევრი წინადადებას იძლევა, რომ ბრძოლის ველზე მყოფნი როგორც ერობისა, ისე სამღვდელო პირნი გაანთავისუფლონ ომის განმავ-

---

უთხრა და ორივეს თვალებიდან ცრემლის ნაკადული წარმოდინდა. დიდხანს ენ ერთმანეთს ჩაკრულნი. დიდხანს, ტყვით, შესტიროდენ ერთი მეორეს. ც ერთი სიტყვებს ვერ ამბობდა, რომ უცებ მეზობლის ძახილი მოისმა.

— გოგია, ეი, გოგია!

— ვინ ბრძანდებით! უპასუხა გოგიას რძალმა.

— გოგია, თუ მოდის, წამოვიდეს. ენ მივდივართ ეს არის... გზაზე ვადგიართ.

— ჰო, ჰო, მოვდივარ! შესძახა გოგიამაც.

ხურჯინი მხარზე გადაიგდო, საბიჯგი ჯოხი ხელში დაიკავა, პირჯვარი გადაიწერა. ერთი კიდევ გადახედა თავის ოჯახს, ნოს, გარემოს და აკანკალებული ხმით ძახა.

— აბა, ჰა! მშვიდობით, მშვიდობით, შვილებო, ოჯახო, ჩემო რძალო?!

— მშვიდობით, მშვიდობით ბაბუა, მშვიდობით ბატონო!

აღდგომათ მოდი ბაბუა, არ დაგავიწყდეს ჩვენი ტანისამოსი, ფეხსაცმელები!.. ძახეს ბავშვებმა და ცოტა ხნის შემდეგ მგზავრები თვალიდან დაეკარგეს...

გოგია რაჭველი გლეხი იყო. ადგილის ვიწროვე, ცხოვრების დიდი მოთხოვნილება და სიღარიბე რაჭველ გლეხს შინ არ აყენებს. იგი, თითქმის პატარაობიდან ე მიჩვეულია გარეთ მუშაობას. გოგია დიდეც, რასაკვირველია, ვერ აცდენოდა ამ მოვლენას. ყმაწვილობაში, აბხაზეთში და მის მიდამოებში ბევრჯერ უმუშავნია, დიდ ხანს ყოფილა და კარგათაც უშოვნია.

აბხაზეთიდან გოგია ისე შინ არ მოვიდოდა, რომ ასი და ორასი მანეთი არ მოეტანა. ამით მიწას ყიდულობდა, ოჯახს უვლიდა, მტერს პასუხს აძლევდა და მოყვარეს.

გოგიას ცოლი ადრე გარდაეცვალა. ორი ვაჟი დარჩა მის ხელში.

ოჯახი უქალოთ, მოგეხსენებათ, არ ვარგა. თვითონ აღარ შეირთო მეორე ცოლი. უფროს ვაჟს ადრე შერთო და მთელი ოჯახიც მის ცოლს, თავის რძალს ჩააბარა.

გოგია სრული კმაყოფილი იყო თავის რძლის ყოფაქცევით, და მოქმედებით. იგი ბედნიერათ თვლიდა თავის თავს, რომ რძალი კარგი ოჯახის ქალი გამოდგა.

იგი სულ ახალ-გაზდა იყო, რომ გოგიამ მოიყვანა თავის ჭკუაზე გამოზარდა და დღეს შვილზე ნაკლებ აღარ უყვარდა...

რაც ბიჭები წამოეზარდენ—მერე, გოგია, გარეთ, სამუშევრათ აღარ წასულა. ნამეტანმა ჯაფამ გოგია უდროვოთ დააძაბუნა. იმდენათ წლოვანებით არ იყო გოგია მოხუცებული, რამდენათ მას, სიყმაწვილეში ატანილი ჯაფის სიმძიმე აჩნდა.

დურგლობაზე, ეს ათი წელიწადია რაც ხელი აიღო. ტყვილა, ნაჯახისათვისაც არ მოუკიდია ხელი, მაგრამ დღეს გაჭირვებამ ყველაფერი გაახსენა, ზეზე ააყენა, ხელში ჯოხი მისცა და შორის გზისაკენ გაამგზავრა..

აბხაზეთში გოგიას ბევრი ნაცნობი ეგულებოდა... ყველას თვალი გადაავლო. თავის ხელით აშენებული სახლები დაათვალიერა. თუმც გოგია ყველას ცნობდა, მაგრამ თვითონ გოგია კი ბევრმა ვერ იცნო. დუხჭირ ცხოვრებას ძლიერ შეეცვალა გოგიას სახე.

— ბიჭო, შენ ხარ? ეკითხებოდა გოგიას ერთი თავის ნაცნობი აბხაზი.

— კი, ბატონო, კი შენი ჭირიმე!

— მერე? რამ დაგაბერა ასე?...

— ღმერთმა შენი ჭირიმე,

— აქ რამ მოგიყვანა აგრე მოხუცებული?

— გაჭირვებამ, შენი ჭირიმე.

— როგორ? ეგებ სამუშევრათ მოხვედი?

— დიაღ შენი ჭირიმე.

— ხა! ხა! ხა! მადიანათ გაიცინა. შენ და მუშაობა?! ეს არ შეიძლება! ღმერთმანი არ შეიძლება!.. თვალით შენ ვეღარ იმზირები და ფეხზე ვერ დგები? რისი გაკეთება შეგიძლია შე საწყალო?!

— აბა, რა ვქნა შენი ჭირიმე. შვილები ჯარში წაიყვანეს. ოჯახი ჩემს კისერზეა.

მათი ცოლ-შვილი შიმშილით მეხოცება, აბა, რა ვქნა?.. წამოვედი აქეთ. ეგებ, თქვენის წყალობით, რამე ვიშოვნო?!

გოგია იმდენათ მოხუცებული იყო, რომ დიდ საქმეს არც არავინ ანდობდა და აღარც თვითონ შეეძლო მისი გაკეთება.

დადიოდა ისევ ოჯახიდან ოჯახში, ხან შეშას ხერხავდა. ხან ღობეს ასწორებდა, ხან ჭიშკარს ან სასიმინდის სახურავს უცვლიდა და თითო ორ-ორ გროშს საფასურათ იღებდა.

ზამთარი მკაცრი იყო. თოვლი, თუმც, ნაკლები იყო, მაგრამ ყინვები კი ძლიერ საგრძნობელი.

გოგიას თავის ამხანაგებთან ერთი ხის ნოტიო ოთახი ჰქონდა ნაქირავები; სამიკიტნოს უკან, სადაც ბუხრის მაგიერ თანაქის ფეჩი იდგა. საღამო-საღამოობით თვითონ მოჰქონდათ სამუშევრიდგან იღლიით, ხის ნაფოტები, ამით შეანთებდენ ცეცხლს და იქვე წაწვებოდენ ტიტველ ხის ტახტზე.

გოგიას ამხანაგები ყმაწვილი კაცები იყვნენ. სიცივეს ისე არ გრძნობდენ, როგორც მოხუცებული.

მათი დაწოლა და ტკბილათ მიძინება ერთი იყო, მაგრამ გოგიას კი ფიქრებზე უფრო მეტათ, სიცივე აწუხებდა. მთელ ღამეს ყალიონს ეწეოდა და უჯდა ცივ ოთახში, ნახევრათ გაცივებულ ფეჩს.

დიდი მარხვა თავდებოდა აღდგომა კარზე იდგა. ჰაერიც, ცოტა არ იყოს, გათბა. ბუნებაც გამოცოცხლდა სოფლელი კაცი კაი დღეზე გარეთ არ დარჩება. ჩვენი დურგლებიც ემზადებოდენ წასასვლელად. ყველა ათავებდა თავთავის სამუშევარს, ნისიებს იღებდენ, გოგიამაც შეაგროვა რამდენიმე მანეთი. ისიც მზათ იყო წასასვლელად, რომ ერთ დილას, რაღაც თავბრუ დაესხა და ტახტიდგან წელი ვეღარ წამოიღო.

— რა ამბავია, გოგია, რომ დღეს ასე გვიან დგები? ჰკითხა ამხანაგმა.

— რაღაც არ შემიძლია, ბრუ მესხმის, დღეს ვერ ავდგები...

— ერი მაა ახლა, რა დროს ავათმყოფობაა?

დღეს თუ ხვალ შინ უნდა წავიდეთ.

ავათმყოფობა თუ გინდა შინ იავათმყოფე! წაუბუტბუტა კიდევ ამხანაგმა და სამუშევარში წავიდა.

— მე, ძმაო, ავათმყოფობა არც შინ მინდა და არც გარეთ, მაგრამ ყველაფერი ღმერთმა იცის. ვენაცვალე მის ძლიერებას! წაილაპარაკა თავისთვის გოგიამ და კედლისაკენ გვერდი იბრუნა.

იმ დღეს, საღამომდი, გოგიას პირში, ნერწყვის მეტი არა ჩასულა რა. ჯერ არც უნდოდა. და რომ კიდევაც ნდომოდა, არავინ, ჰყავდა საჭმლის მიმცემი.

სიცხე თან და თან უმატებდა. ძალ-ღონე აკლდებოდა, მაგრამ სად იყო შველა?!

ღმერთს, რომ გაჭირვებულ კაცისათვის ან აქიმი და ან წამალი გაეჩინა, ვინ იცის, ეგებ, გოგიასაც ეშველებოდა რამე მაგრამ სად იყო ან აქიმი, ან წამალი?! კაი ხნის დალამებული იყო.

გოგიას ამხანაგები ჯერ კიდევ არ იყვნენ შინ მოსულნი.

ხვალ წასვლას აპირებდენ. დღეს ალბათ ნისიებს აგროვებდენ. მიტომაც დაიგვიანეს...

აღდგომამდი კიდევ რამოდენიმე დღე დარჩენილიყო.

გოგია უპატრონოთ ეგდო ცივ-ნოტიო ოთახში და რაღაცას გაუგებრათ ბუტბუტებდა: ...შვილები...ომი...ბავშვები...ტანისამოსი...წითელი კვერცხები....

— გამარჯობა გოგია?! უცებ შემოიჭრა ოთახში გოგიას ამხანაგი და მომაკვდავ მოხუცებულს დაადგა თავს.

— აჰ! ამღვრეული თვალებით გადმოხედა ავადმყოფმა.

— გამარჯობა, რავა ხარ?

— შენ, ვინ ხარ?..

— მე ვარ გიორგი.

— ვინ გიორგი?..

— შენი ამხანაგი. ვეღარ მიცანი შე კაცო?

— ჰო! კი.. მერე. რა გინდა?.

— ჩვენ ხვალ მივდივართ! შენ შეგიძლია წამოხვიდე?

— აჰ!... ჰო... კი.. არა... შვილები... წითელი კვერცხი...

კიდევ უფრო არეულათ დაიწყო ლაპარაკი.

— ეს გათავებულა ძმაო! არიქა ღვდელი! მიაძახა გიორგიმ თავის ამხანაგს და საზიარებლათ ღვდელთან აფრინა, მაგრამ ყველაფერი გვიან იყო. გოგია ღვდელს ცოცხალი აღარ დახვედრია.

აღდგომა იყო. ყველა სადღესასწაულოდ გამოწყობილიყო. ბავშვებს ახალ, ახალი ტანისამოსი ეცვათ. ხელში წითელი კვერცხები ეკავათ და აღდგომას შეხაროდენ.

მხოლოდ გოგია ვარდიძის ოჯახში ჩვეულებრივი არა იყო რა.

ლობაში გადასახადებისაგან.

მოიხსენებული ვახიდევა უპირატესობას აძლევს ბრძოლის ველზე მყოფთ და მათ ომის განმავლობაში გადასახადებისგან განთავისუფლებას მეტად სიმპატიურად სთვლის მაგრამ მათი სრულიად განთავისუფლება გადასახადებისაგან შეუძლებლად მიაჩნია, მასვე უერთდება სახელმწიფოს კონტროლი, რომელიც აცხადებს, რომ ხსენებულ პირთა გადასახადებისგან განთავისუფლება, სახელმწიფოს გადასახადს თითქმის ანახევრებსო. **გურკო** აღნიშნავს, რომ პოეზიის მშრალ საქმესთან შერევა არ ვარგა. საკითხი განსახილველად სხვა დროისთვის გადაიდვა, წამოყენებულ შესწორებას მხარს უჭერდნენ: გრაფ **ბობრინსკი და რიკოპინი.**

სხდომა იხურება მეორე დღემდის.

„სასიამოვნო საქმე“

გაზ. „საქართველოს“ გუშინდელ ქრონიკაში მოყვანილია ცნობა, რომ ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ აჭარელების დახმარების საქმეში მეტად პრაქტიკული ნაბიჯი გადასდგა, სახელდობრ: ხსენებულ საზოგადოებას იჯარით აუღია შარა გზის გაყვანა ბათომიდან ახალციხემდე. ამ ნაბიჯს ჩვენ ორგვარ დიდ მნიშვნელობას ვაკუთვნებთ, პირველი ისა რომ აჭარა მეტად უმწეო მდგომარეობაშია გზების მხრივ: იქ დღესაც ადამის დროის ბილიკებია, რომელზეც გავლა ადამიანს საშინელებას ჰგვრის. მეტად ცუდია აგრეთვე გზა ბათომიდან ართვინამდე, დღეს კი ქართულ საქველმოქმედო საზოგადოება, გაჰყავს უმთავრესი გზა, რომელიც შეაერთებს ბათომს,—ახალციხეს და აქაურ მცხოვრებლებს გაუადვილებს ქ. ბათომში სავაჭროთ თუ სხვა მიზნით მიმოსვლას და საერთოდ ხელს შეუწყობს აჭარის ეკონომიურ—კულტურულად აღორძინება—გაღონიერებას, მხოლოდ მეორე მნიშვნელობა გზის გაყვანისა იმაში მდგომარეობს, რომ იმ საქმეში, სადაც 66,000 მან. იხარჯება იმუშავებენ ომის ქარცეცხლის მიერ დარბეულ—გადატაკებული აჭარლები, რაიც ოდნავ სულს მაინც მოათქმევინებს მათ. უსურვებთ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას მეტს ასეთ პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმას **ია—დი**

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

სტოკჰოლმი. 29 თებერვალი. შვეციის ელჩი ბარონ ბეკფრისი ამ დღეებში ბუქარესტს გაემგზავრა რუმინეთის მეფისადმი თავისი რწმუნების გრამოტის ჩასაბარებლად.

საფრანგეთის ასპარეზი.

პარიზი. საღამოს ოფიც. ცნობა. 29 თებ. მდ. ენის ჩრდილოეთით ფრანგთა არტილერია და მძიმე ბატარეა მარჯვეთ უშენდა ყუმბარებს გერმანელთა სანგრებს მეზანდე შამპანთან მდ. აკავარენის დასავლეთ რაიონში.

არგონებში ფრანგთა არტილერია გამანადგურებელ ცეცხლს უშენდა რკინის გზის საფარებსა და შენობებს არგონის აღმოსავლეთ ნაწილში. ვერდენის ჩრდილოეთით საარტილერიო სროლა გაძლიერდა მდინარის დასავლეთით მორტომის მიმართულებით. ტყის რაიონში ფრანგთა ბატარეია ყუმბარებს უშენდა მოპირდაპირის შეჯგუფულ ძალას კორესა და კორბოს ტყის შუა მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე. ვევრში ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა. ქვეითა ჯარს იერიშები არ უწარმოებია დღის განმავლობაში.

ზემო ელზასში, გერმანელებმა საარტილერიო ბრძოლის გაძლიერების შემდეგ, იერიში მიიტანეს სეპპუას აღმოსავლეთით მდებარე ფრანგთა თხრილებზე, მაგრამ ფრანგთა არტილერიის ცეცხლმა შეაჩერა და თავის თხრილებისკენ უკუაქცია. ამ იერიშის დროს გერმანელებს დიდი ზარალი მოსვლიათ.

29 თებერვალს გერმანელთა სამხედრო საჰაერო კორპუსმა ვერდენის რაიონში დიდი მოქმედება გამოიჩინა. ფლოტილიამ რომელიც 6 აპარატისაგან შესდგებოდა, 130 ყუმბარა ესროლა სადგურ ბრიუსელს, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ვერდენის ჩრდილოეთით მრავალი შეტაკება მოხდა. წარმატება ფრანგების მხარეს იყო. ამ ბრძოლების დროს ფრანგებმა გერმანელების 3 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს. ერთი ჰაეროპლანი ფრანგების ხაზზე დაეცა, 2-რე კი გერმანელთა ბრძოლის მოწინავე ხაზებზე. შემჩნეული იყო აგრეთვე სხვა ჰაეროპლანების ჩამოგდება, თუმცა დანამდვილებით არ იციან დაზიანებული იყვნენ თუ არა.

ჰავრი. 29 თებერ. ბელგეთის ოფიც. ცნობა. ბელგეთის ფრონტზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლა იყო, განსაკუთრებით დიკსმიუდეს რაიონში.

პარიზი. 29 თებერვალი. დღის ცნობა. ვერდენის ჩრდილოეთ რაიონში ქვეითა ჯარის შეტაკება არ მომხდარა. ღამის განმავლობაში მხოლოდ საარტილერიო სროლა სწარმოებდა. ასეთივე სროლა იყო დუამონის რაიონსა და ვევრში, მულენვილისა და გონვოს სექტორებში. ფრანგთა არტილერია დიდ აქტივობას იჩენდა მთელს ფრონტზე. სამეფო ტყეში, კრუდკარმის მახლობლად, ფრანგთა რაზმმა 200 მეტრის მანძილზე მიაღწია მოპირდაპირის თხრილებამდი, გაანადგურა თხრილები, რამდენიმე ჯარისკაცი დაუპირა მტერს და უვნებლათ დაბრუნდა თავის ხაზისკენ, წამოიყვანა რა ტყვეთ, 20 კაცი დანარჩენ ფრონტზე ღამემ წყნარათ ჩაიარა. ფრანგთა ერთერთმა საჰაერო ესკადრამ ღამით ფრენის დროს 30 სხვილი ყალიბის ყუმბარა ესროლა კონფლინის სადგურს. ყუმბარებმა, როგორც შენიშნული იყო, ცეცხლი გამოიწვია ზოგიერთ ადგილში. მიუხედავათ ძლიერი ცეცხლისა მტრის მხრით, საჰაერო ესკადრა უვნებლათ დაბრუნდა.

ნიჟნი ნოვგოროდი. ადგილობრივ ერობის სასოფლო სამეურნეო საბჭომ თხოვნით მიმართა „გამომცემელთა გამნაწილებელ კომიტეტს“ რათა ნიჟნი ნოვგოროდში გამოგზავნილ იქნას საჭირო რიცხვი „გამოქცეულებისა“, რომელთაც სასოფლო სამეურნეო მიზნით ამუშავებენ.

კოპენჰაგენი. ვენაში პორტუგალიის რწმუნებულმა განუცხადა, „ნეიეფრეი პრესეს“ თანამშრომელს, რომ ავსტრიისა და პორტუგალიის შორის არავითარი კონფლიქტი არ არსებობსო. ბერლინიდან ცნობაა, შტაბს განუცხადებია, რომ მომავალ აღდგომის დღესასწაულზე მომქმედ ჯარში არავითარი საჩუქრები არ გაიგზავნება, რადგან ეს დიდ უხერხულობას ჰბადებსო.

მოსკოვი. გაიხსნა გუბერნიის ერობის საგანგებო სხდომები.

სტოკჰოლმი. შვეციის ელჩი ბუქარესტს წავიდა და რუმინიის მეფეს თავის რწმუნებულობის გრამოტა გადასცა.

სალონიკი. იტყობინებიან, რომ შემოტევას ორივე მოწინააღმდეგე მხარე მალე დაიწყებსო.

პარიზი. 1 მარტი. ჰავასის სააგენტო იუწყება, შაბათს ვერდენთან სიწყნარე იყო. დღეს მოხდა საარტილერიო შეტაკება, რასაც ვერდენის ბედზე არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლია. ბეტენკურ—გორომთან, გერმანელებმა შემოტევა დაიწყეს, ყოველი შემოტევა და თავდასხმა მტრისა ფრანგებს ჯერჯერობით თავის სასარგებლოდ მიაჩნიათ.

კოპენჰაგენი. 1 მარტი. გერმანელებს 2 ცეპელინი დაუღუპავათ.

ლონდონი. რუსეთის ჟურნალისტ—პუბლიცისტები საფრანგეთის ფრონტიდან დაბრუნდნენ და რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს თავისი შთაბეჭდილება გადასცეს.

პეტროგრადი. სამხედრო სამრეწველო კომიტეტის სხდომაზე რეზოლიუცია გამოიტანეს, რომ დაჩქარებით განახორციელონ კოოპერატიულ მოძრაობის შესახებ შემუშავებული კანონები.

შემდეგ განიხილეს საკითხი მუშებისა, რომ სამინისტრომ იკისროს პასუხისმგებლობა მცხოვრებთა პროფესიულ კოოპერატიულ კავშირისა.

აქ არც ბავშვებს ეცვა ახალი ტანისამოსი და არც სხვა რამ გეუბნებოდათ ოჯახის სიხარულს.

ეზოში იჯდა, მწარეთ დაღონებული გოგიას რძალი. იმან ჯერ არც ქმრის ამბავი იცოდა და არც მოხუცებულ მამამთილისა.

გარს შემოხვევოდენ თავისი შიშველ-ტიტველი ბავშვები და თვალ ცრემლიანი ეკითხებოდენ:

— დედა! ჩვენ რატომ არ გვაქვს დღეს წითელი კვერცხები? რატომ არ გვაცვია ახალი ტანისამოსი? ბაბუა, როდის მოვა? აჰ?...

— რატომ, შვილებო, და დღეს, არ არის ჩვენი აღდგომა!..

— აჰ! აპა, როდის იქნება?

— როცა ჩხუბი გათავდება. მამა შინ შვიდობით დაბრუნდება და ბაბუაც კიდევ მოვა.

— აპა დღეს არ არის ჩვენი აღდგომა?

მერე როდის მოვა მამა? როდის გათავდება ჩხუბი? ბაბუა, როდის მოგვიტანს წითელ კვერცხებს?

წამ და უწუმ ეკითხებოდენ შეწუხებულ დედას შიშველ-ტიტველი ბავშვები და დედაც ცარიელ სიტყვებით ანუგეშებდა მათ:

— მალე, მალე, დედა გენაცვალოსთ!

მალე გათავდება ჩხუბი. მამა და ბაბუა შინ მოვლენ. თქვენ ახალი ტანისამოსი გეცმევათ, წითელი კვერცხებიც ხელში გეკავებათ და აი, ჩვენი აღდგომაც მაშინ იქნება.

— უჰ, დედა! ნეტავი კი მალე მოვიდოდენ მამა და ბაბუა!!! ერთად შესძახეს ბავშვებმა და დროებით დაკმაყოფილებულნი მოშორდენ დედას.

თეოფ. ხუსკივაძე.

დ. თხამიროე 1916 წ.

ქუთაისის „ქართული დრამის“ სეზონი.

1915—1916

1 ოქტომბრიდან 22 თებერვლამდე.

დასში იყვნენ ქალები: ანდრონიკაშვილი ელო, ბეჟანიშვილი სუზანა, კავთელი ანა, მდივანი მარო, მესხი ეფემია, ლოლობერიძე ოლიმპიადა, შოთაძე ანა (ორი თვის შემდეგ გავიდა დასიდან). **ვაჟები:** ბარველი ვანო, გვარაძე ნიკო, გუჯუშვილი ალექსანდრე, დადიანი შალვა, ზარდალიშვილი იუზა (ორი თვის შემდეგ გავიდა დასიდან), კორიშელი პლატონ, მურუსიძე ანდრო, სარელი ლადო, ყალაბეგიშვილი სანდრო. ჩაგუნავა ნიკო, ჩხიკვაძე ვარლამ, ხონელი შალვა.

ამათ გარდა დრო-გამოშვებით წარმოდგენებში მონაწილეობა მიიღეს ქ.ბ. ნინო ჩხეიძემ, ელ. ჩერქეზიშვილმა. ბბ. ვალ. გუნიამ, გ. იმნაძემ, და დავ. ჩარკვიანმა. აგრეთვე სეზონის განმავლობაში თანამშრომლობდენ შემდეგი პირები: **ქალები**—გორდელი ქსენია, ეპიტაშვილი სოფ. თოიძე ნინო, ლორთქიფანიძე ნინო, მეუნარგიას პატარა ქალი და ჩხეიძე ანა. **ვაჟები:** აბაკელია, კანდელაკი ნოე, ლორთქიფანიძე გრ., სლავსკი ვლად., ტუღუშიშვილი ვლ., ჩარკვიანი გრ., ჭელიძე სერგო, ჯაფარიძე შალვა, ჯუღელი და სხვ.

ამასთანავე საპიროების დროს მონაწილეობას ღებულობდა წარმოდგენებში ადგილობრივ ქართული ხოროს მგალობლები.

რეჟისორი იყო შალვა დადიანი, რეჟ. თანაშემწე—ა. გუჯუშვილი, მოკარნახე—ილარიონ ქლენტი.

წარმოდგენები იმართებოდა უფრო შაბათ-კვირაობით და ხუთშაბათობით. შაბათობით იმართებოდა იაფ-ფასიანი წარმოდგენები, დანარჩენ დღეებში ჩვეულებრივის ფასებით და ზოგჯერაც საბენეფისოთ. ამ გვარად 1-ლ ოქტომბრიდან 1915 წლისა 22 თებერვლამდე 1916 წლისა სულ გაიმართა **ქუთაისში** 58 წარმოდგენა. **ბათუმში**—5, **ფოთში**—4. სულ 67 წარმოდგენა. მათ შორის **ქუთაისში** იყო

ჩვეულებრივი—23.
იაფ-ფასიანი—17.
საბენეფისო ფასებში—18.

ბათომში, მომატებულ ფასებში — 4
იაფ-ფასიანი — — — — 1
ფოთში, ჩვეულებრივი — — — — 4

ბენეფისები ჰქონდათ: ანდრონიკაშვილს ელოს, დაიდგა „ბურუსი“ ჰანტურიშვილისა და „ქორწილი სოფლად“ მჭედლიშვილისა; მდივანს მაროს („იუდას მემკვიდრე“ სობოლშჩიკოვ-სამარინისა); მესხს ეფემიას („მედეა“ სუვორინისა); გვარაძე ნიკოს („მოლიპულ გზაზე“ გარრიკისა); დადიანს შალვას („გადაჰრილი მუხა“ შალიკაშვილისა); კორიშელ პლატონს („სიყვარული და ვერაგობა“ შილლერისა); მურუსიძე ანდროს („მურად—ფაშა“ ამ—ლისა); ყალაბეგიშვილს სანდროს („უგვირგვინო მეფენი“ შანშიაშვილისა); ამათ გარდა ერთი საერთო ბენეფისი ჰქონდათ დანარჩენ მსახიობთ, გარდა კავთელისა, გუჯუშვილისა და სარელისა, რომელთაც ბენეფისზე უარი განაცხადეს. დაიდგა „პარიზის ღატაკნი“.

სეზონის განმავლობაში აგრეთვე გამართული იყო ერთი **საიუბილეო** წარმოდგენა ელ. ჩერქეზიშვილის პატივსაცემლად და ერთიც ავადმყოფ ამხანაგის ვალ. შალიკაშვილის სასარგებლოთ.

რეპერტუარი შესდგებოდა შემდეგ ნაწარმოებთაგან:

ახალი პიესები.

ბარველის—„გამარჯვებული“ წარმოდგენილ იქმნა 1-ჯერ.
ბერნშტეინის—„ურიის სისხლი“ 1 ჯერ
გარრიკის—„მოლიპულ გზაზე — 3 ჯერ
გეიერის—„მზის საიდუმლო“ — 1-ჯერ
დადიანის—„ბედის ტრიალი“ — 2-ჯერ
ირეთელის—„ბედნიერი დღე“ — 1-ჯერ
მჭედლიშვილის-„ქორწილი სოფლად“. 2
რამიშვილის— სალომეს ოჯახი“ 1-ჯერ
რიშკოვის--„სახელმწიფო სადგომი“ 1-ჯერ
საქარიქეძელის—„მოსე-მწერალი“ 1 ჯერ
შანშიაშვილის—„უგვირგვინო მეფენი“ 3
შარვაშიძის—„გიორგი III“ — 2-ჯერ
ჰანტურიშვილის—„ბურუსი“ — 1-ჯერ

(დასასრული ხვალ)

ჩვენი ფოსტა.

აქ. ბ ნ. ის. კვიცარიძეს.

გუშინდელ სტუმართ მოგვარე „ჩვენ მეგობარში“ სწერია: ერთი მკითხველის საპასუხო წერილი მეორე დღესვე „სამშობლოს“ წ. ნანდელ ხელმძღვანელს მოვუტანე, მაგრამ მან თავის ჩვეული სარედაქტორო ბრჭყალებით დამიმახინჯა იგით და სხვა

ჯერ ერთი მასთან [illegible] ჭება უნდოდა და მეორეც ერთი [illegible] აგვიხსნათ, ვინ არის ის წინანდელი [illegible] ნედი „სამშობლოისა“? [illegible] „სამშობლო“ არსებობს, [illegible] ერთი და **იგივე ხელმძღვანელი,** ასე რომ თქვენი ცნობა სიმართლეს მოკლებულია. გვეჩვენება, ბ-ნო ისიდორე, ასეთი ყალბი ცნობებით შორს ვერ წახვალთ, ვერც თქვენ და ვერც ისინი, რომლებიც ასეთ ყალბ ცნობებს გიგზავნენ.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო“.**

რკინის გზის მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს.	50 წ.
„	— საღამ.	—6 ს.	57 წ.
ბათომიდან	— დღისით	—1 ს.	25 წ.
„	— ღამის	— 2 ს.	23 წ.
ფოთიდან	— დილის	—10 ს.	8 წ.
ტყიბულიდან	—საღამოს	— 7 ს.	39 წ.
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს.	18 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	—დილის	— 11 ს.	55 წ.
„	— ღამის	— 1 ს.	7 წ.
ბათომისაკენ	— დღისით	—5 ს.	30 —
„	— დილის	— 4 ს.	27 წ.
ფოთისკენ	—დღისით	— 4 ს.	27 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს.	20 წ.
შორაპნისაკენ	—დღით.	— 5 ს.	— —

საეოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავხსენი სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოება

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევისაგან. პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 საათ. ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩემს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26.
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

7 თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოების **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ქუთაისი.

ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი).

მიიღება ულია ვენახის ასაკრავი საუკეთესო ქ ი ლ ი. იქვე იყიდება ყოველგვარი საბაკალეო საქონელი. ფასები ყველაფერზე ზომიერია. 8

ავადმყოფნი გონორეი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი პროფ. მორნისა.**

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტკეპისა, ჭაჭების და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი“**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისის განყოფილებაში „საქიმიო პრაქტიკულ ლაბორატორიაში“ **ა. შავერზაშვილის საათიაქო მაღაზიაში.** ფასი ერთი კოლოფის 3 მან. ხოლო გადაგზავნის საფასური 3—5 კაპ.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

ა. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარებამ მომცა სრულებით გამაკვირვებელი შედეგები, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. [illegible]

ქ. პეტროგრადი [illegible] 9 (ფლორი)